

# ხელშეკრულება სპეც. ტანსაცმლის შექმნის თაობაზე

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ 2019 წ.

ერთის მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ს.კ 204976302 (შემდგომში „დამკვეთი“), და მეორეს მხრივ, შპს \_\_\_\_\_ ს.კ \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“)

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთმა“ 2019 წლის \_\_\_\_\_ ჩაატარა ტენდერი სპეც.ტანსაცმლის შესაძენად (შემდგომში „საქონელი“), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადება.

1.2 წარმოდგენილი სატენდერო წინადადების თანახმად „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება „დამკვეთს“ მიაწოდოს „საქონელი“ სატენდერო წინადადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

## 2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ლარს ღღგ-ს ჩათვლით.

2.2 „საქონლის“ ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.3 საქონლის ღირებულების გადახდა მოხდება ლარებში, „მიმწოდებლის“ მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშვაქტურის მიხედვით.

## 3. სტანდარტები და ტექნიკური პარამეტრები

3.1. მიწოდებული „საქონლის“ ტექნიკური პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო წინადადებით და ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ პარამეტრებს. არ დაიშვება ტექნიკური პარამეტრების შეცვლა და გაუარესება.

## 4. საპატენტო უფლებები

4.1 ხელშეკრულების თანახმად „საქონლის“ და/ან მისი ნაწილის საპატენტო უფლების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება „მიმწოდებელს“.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „დამკვეთი“-ს მხრიდან განახორციელებს შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს საწარმოო უსაფრთხოების, შრომისა და გარემოს დაცვის სპეციალისტ ალექსანდრე რამაზაშვილი.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „საქონლის“ მიღება-ჩაბარება განხორციელდება „მიმწოდებელისა“ და „დამკვეთის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. წუნის შემთხვევაში, „დამკვეთი“ უფლებამოსილია არ ჩაიბაროს „საქონლი“ მანამ „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯით არ უზრუნველყოფს წუნის გამოსწორებას.

## 7. ფასები

7.1 „მიმწოდებლის“ მიერ სატენდერო წინადადებასა და 2.1. პუნქტში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს და მისი შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

## 8. საბანკო გარანტია

8.1 „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის გამოყენების უფლებამოსილება „დამკვეთს“ გააჩნია „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასრული და/ან არაჯეროვანი შესრულების დროს.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „დამკვეთი“-სათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეებს აქვთ უფლება მოითხოვონ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების 0.2%-ის ოდენობით ჯარიმის გადახდა.

10.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 სატენდერო პირობებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის, მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ დაზარალებულ მხარეზე მიყენებული ზიანი.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 „დამკვეთს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან/და „დამკვეთი“ს მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთ“-სა და/ან „მიმწოდებელი“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 „მიმწოდებელი“ შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.5 ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი გარანტიების მოქმედების ვადა უნდა გაგრძელდეს ფორს მაჟორული პერიოდის შესაბამისად ვალდებულებების შესრულებამდე, ხოლო ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან იმ დროს არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 „დამკვეთმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „დამკვეთი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ----- და მოქმედებს 2 წლის განმავლობაში, 2021 წლის ----- მდე.

## 15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15.4 სატენდერო დოკუმენტაცია და გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, დანართების სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„დამკვეთი“

„მიმწოდებელი“